საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში N6 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის შესახებ

(2018 წლის 2-3 აპრილი)

www.ombudsman.ge

სარჩევი

1. შესავალი....2
2. წამება და არასათანადო მოპყრობა....2
3. წესრიგი და უსაფრთხოება....4
4. პატიმრობის პირობები....13
4.1. ფიზიკური გარემო....13
4.2 რეაბილიტაცია....15
5. სამედიცინო მომსახურება....19
6. კვება....21
7. კონტაქტი გარე სამყაროსთან....23

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2018 წლის 2-3 აპრილს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების ტექნიკური ანგარიშები.[1] ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და პატიმრებთან ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხავს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ზოგადი შეფასებით, N6 განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მართვა ვერ უზრუნველყოფს პატიმრების ქცევის პოზიტიური ასპექტების განვითარებას, რისკების შემცირებას, გამოსწორებასა და რეაბილიტაციას. დაწესებულების მართვა დაფუძნებულია პატიმრის ქცევის მართვის ნეგატიურ ასპექტებზე, რათა მაქსიმალური შეზღუდვების, აკრძალვებისა და დისკომფორტის ფონზე მოახდინონ პატიმართა დასჯა, კონტროლი, დამორჩილება და ამ გზით უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დეტალური დაკვირვებები იხილეთ ქვემოთ მოცემულ თავებში.

2. წამება და არასათანადო მოპყრობა

N6 პენიტენციურ დაწესებულებაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებაში არსებული ძალადობრივი[2] გარემო. ამ მხრივ საგულისხმოა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ მიღებული ინფორმაცია ერთ-ერთი პატიმრის მიმართ დაწესებულების თანამშრომლების მიერ განხორციელებული ძალადობის სავარაუდო ფაქტის შესახებ.

კერძოდ, პატიმარი ს.ს. 2017 წლის მარტის თვიდან 2018 წლის მარტის თვის ჩათვლით დეესკალაციის ოთახში გადაყვანილ იქნა 12-ჯერ (ჯამში 33 დღე)და პატიმრის განმარტებით, დეესკალაციის ოთახში მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას დაწესებულების

---

[1] სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ლევან ბეგიაშვილი, მერი სამსონია, ხატია ხელაძე, მახარე მერაბიშვილი, კახაბერ გოგაშვილი, რუსუდან მანგოშვილი, თამარ ავალიანი, მერაბ ქავთარაძე.

[2] როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური ძალადობის კუთხით.

თანამშრომლების მხრიდან. კერძოდ, ს.ს-ის განცხადებით, 2018 წლის 31 მარტს, დაწესებულების თანამშრომლებმა მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეიყვანეს დეესკალაციის ოთახში. მას ამოუტრიალეს ხელები და დააწვინეს იატაკზე, რა დროსაც ერთ-ერთმა თანამშრომელმა მსჯავრდებულს კისერზე დააჭირა მუხლი, ხოლო სხვები ურტყამდნენ ბეჭების და ზურგის არეში, ასევე მსჯავრდებულის განმარტებით, ერთ-ერთმა თანამშრომელმა თვალბუდის არეში დააჭირა თითები, რის შედეგადაც ს.ს-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი. პატიმარს აღენიშნებოდა სხეულის დაზიანებები, რაც ფოტოგადაღებით დააფიქსირეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა და მასალები გამოძიების დაწყების მიზნით გაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში.[3] პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, ხსენებულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[4]

N6 დაწესებულებაში არსებულ არაჯანსაღ გარემოზე მიუთითებს N6 დაწესებულებაში პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის არსებული დაძაბული და კონფლიქტური ურთიერთობა. [5] კერძოდ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას ადმინისტრაციის წარმომადგენლები პატიმრების მიმართ დამამცირებელ და აგრესიულ დამოკიდებულებას ავლენდნენ. მონიტორინგის დროს გამოკითხული მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათი გაღიზიანების ან გაბრაზების შემთხვევაში დაწესებულების პერსონალი მათ პასუხობს სიტყვიერი შეურაცხყოფით, რაც მათი განმარტებით ხელს უწყობს კონფლიქტის გამწვავებას.

N6 დაწესებულებაში სავარაუდოდ ადგილი აქვს პატიმრების არაფორმალურ დასჯას. არაფორმალური დასჯის შთაბეჭდილებას ქმნის დეესკალაციის ოთახებში პატიმართა მოთავსების მანკიერი პრაქტიკა.[6]ასევე, მიღებული ინფორმაციით, დაწესებულებაში არსებობს საკნები, რომლებიც გამოიყენება დასჯის მიზნით და მასში ათავსებენ ე.წ. „ურჩ პატიმრებს“. პატიმრების განცხადებით, ასეთია კიბესთან მდებარე საკნები. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემოწმდა აღნიშნული საკნები და გაირკვა, რომ სხვა საკნებთან შედარებით მასში უფრო ცუდი პირობებია. ასეთ საკნებში ნაკლებად შედის დღის შუქი და ჰაერი. კიბეზე ხშირი მოძრაობის გამო მუდმივი ხმაურია და პატიმრები ვერ ახერხებენ დაძინებას. გარდა ამისა, საკანში კიბის უჯრედიდან შემოდის მტვერი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში არსებული არაჯანსაღი გარემო, არამხოლოდ ხელს უშლის მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებასა და რეაბილიტაციას, არამედ ზრდის პატიმართა გაღიზიანებას, რაც რიგ შემთხვევებში, პატიმრის მხრიდან დაწესებულების თანამშრომლის მიმართ აგრესიაში გადაიზრდება. არსებული

---

[3]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2018 წლის 3 აპრილის N15-12/5095 წერილი.

[4]საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 12 აპრილის N13/26920 წერილი.

[5]2015 წლის 15 სექტემბერი, 2016 წლის 10 თებერვალი, ანგარიში N6 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3808.pdf [ბოლოს ნანახია: 17.05.18].

[6]დეესკალაციის ოთახში მოთავსებასთან დაკავშირებული პრობლემები დეტალურად მიმოხილულია ქვემოთ, თავში - „წესრიგი და უსაფრთხოება“.

ვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ დაწესებულების თანამშრომლებს ესაჭიროებათ გადამზადება ისეთ საკითხებში, როგორიცაა კონფლიქტების პრევენცია, მედიაცია და პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის პრინციპები.

3. წესრიგი და უსაფრთხოება

მაღალი რისკის დაწესებულების მართვა წარმოადგენს გამოწვევას ციხის ადმინისტრაციისთვის იმდენად, რამდენადაც საჭიროებს ბალანსის დაცვას ერთის მხრივ იმ საფრთხეს შორის, რომელსაც აღნიშნული პატიმრები შეიძლება წარმოადგენენ დაწესებულებაში არსებული წესრიგისთვის და მეორეს მხრივ სახელწმიფოს ვალდებულებას შორის, რომელიც გულისხმობს ყველა პატიმრის მიმართ ჰუმანურ და ღირსების შესაბამის მოპყრობას. უსაფრთხოებას, წესრიგსა და სამართლიანობას შორის ბალანსის დაცვის მნიშვნელობა კარგად უნდა იქნეს გაგებული დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან, რათა პატიმართა ყოველდღიურ ცხოვრებასა და გადაადგილებაზე დაწესებული კონტროლი არ იყოს იმაზე მეტი, ვიდრე არის ამის რეალური საჭიროება.[7]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით N6 დაწესებულებაში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს უსაფრთხოების ღონისძიებების დაუსაბუთებელი და არაპროპორციული გამოყენება, რაც პატიმართა მიერ დასჯად აღიქმება.

ამ მხრივ საგულისხმოა, შემდეგი სახის უსაფრთოხების ღონისძიებები:

<u>პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსება</u>

ვიზიტის დროს, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ კვლავ პრობლემად რჩება პატიმრების დეესკალაციის ოთახებში მოთავსების პრაქტიკა. საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რისკზე მითითებით, პატიმრებს ათავსებენ დეესკალაციის ოთახებში, რა დროსაც არ ხდება ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით.

დეესკალაციის ოთახში არსებულ ცუდ პირობებთან ერთად, [8] პრობლემურია ოთახში არსებული ფიზიკური გარემო, რომელიც არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. საგულისხმოა, რომ N6 დაწესებულებაში

---

[7] გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), მაღალი რისკის პატიმრების მენეჯმენტის სახელმძღვანელო, გვ 79, ნიუ-იორკი 2016 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/HB_on_High_Risk_Prisoners_Ebook_appr.pdf
[ბოლოს ნანახია:15.06.18].

[8] იხ. წინამდებარე ანგარიშის თავი -„პატიმრობის პირობები“.

დაფიქსირდა დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევები, რა დროსაც მათ მიმართ დამატებით, ხელბორკილები გამოიყენეს. დეესკალაციის ოთახებში პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჭურჭლის სარეცხი საშუალებები; ამ ოთახებში მოთავსებული პატიმრების ტანსაცმელი ინახება დაწესებულების თანამშრომლებთან და პატიმრებს საკუთარ ტანსაცმელზე წვდომა შეზღუდული აქვთ. დეესკალაციის ოთახებში ყოფნის დროს, პატიმრებს არ ეძლევათ შხაპის მიღების და გასეირნების უფლება; მათ შეზღუდული აქვთ მაღაზიით სარგებლობის, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და პაემნით სარგებლობის უფლება. N6 დაწესებულების დეესკალაციის ოთახებში მოთავსებული პატიმრების უფლებების დაცვის საკითხი პრობლემას წარმოადგენდა გასულ წლებშიც და ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 18 აგვისტოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, ამ ოთახებში მოთავსებული პატიმრები უზრუნველეყო სათანადო სამედიცინო მომსახურებით და პირადი ნივთებით სარგებლობის უფლებით.[9]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ N6 დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მოთავსება, ზემოთ მითითებული პირობების გათვალისწინებით, წარმოადგენს პატიმრების მიმართ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და თვლის, რომ აუცილებელია სისტემური შემოწმებისა და თანმდევი რეაგირების გზით, იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ უზრუნველყოს აღნიშნულ ოთახებში მოთავსებული პატიმრების მიმართ ამგვარი მოპყრობის პრევენცია.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 15 აგვისტომდე მოქმედი რედაქციით N6 დაწესებულების დებულებით დადგენილი იყო, რომ დეესკალაციის ოთახში სათვალთვალო კამერის ხედვის არეალში არ უნდა მოხვედრილიყო ტუალეტის ნიჟარა, თუმცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N105 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შემდეგ აღნიშნული ნორმა შეიცვალა და 2016 წლის 15 აგვისტოდან დაწესებულების ადმინისტრაციას შეუძლია დეესკალაციის ოთახებში მეთვალყურეობა განახორციელოს მათ შორის ტუალეტის ნიჟარასთანაც. ვიზიტის დროს დეესკალაციის ოთახებში მეთვალყურეობის სისტემა იმგვარად იყო დამონტაჟებული, რომ ტუალეტის ნიჟარა მოქცეული იყო ვიდეოკამერების ხედვის არეალში, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას და შესაძლოა გაუტოლდეს დამამცირებელ მოპყრობას. სახალხო დამცველი თვლის, რომ დეესკალაციის ოთახებში ტექნიკური საშუალებებით მეთვალყურეობამ არ უნდა ჩაანაცვლოს დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმარზე დინამიკური დაკვირვება და პირდაპირი კონტაქტი. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დეესკალაციის ოთახებში უნდა მოეწყოს იმგვარი ინფრასტრუქტურა, რომელიც ნაწილობრივ მაინც დაფარავს ტუალეტის ნიჟარებს, რათა პატიმარს ჰქონდეს გარკვეული პრივატულობის განცდა, ხოლო თუ პატიმრის მიერ ტუალეტით სარგებლობის დროს საჭირო გახდება მასზე დამატებითი მეთვალყურეობა, აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს უკვე არსებული

[9] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2017 წლის 18 აგვისტოს N15-3/11797 წერილი.

უსაფრთოხების ღონისძიებებით. დეესკალაციის ოთახზე ხორციელდება ელექტრონული მეთვალყურეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტრონულ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირს საეჭვო გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში შეუძლია დაუკავშირდეს მორიგეს, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, რომ გადაამოწმოს ინფორმაცია, როგორც ვერბალური კომუნიკაციით, ასევე საჭიროების შეთხვევაში საკანში შესვლით.

იმ ფონზე, როდესაც დებულებით პირის დეესკალაციის ოთხში მოთავსების რაოდენობა შეზღუდული არ არის, ვიზიტისას დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსება ხორციელდება მაქსიმალური ვადით (72 საათით) და ზედიზედ რამდეჯერმე. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებთან, რომლის მიხედვითაც, დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების მაქსიმალური დრო არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი.[10] კერძოდ, გაირკვა, რომ ადგილი აქვს 72 საათიანი ვადის ამოწურვის შემდეგ მოკლე პერიოდში დეესკალაციის ოთახში განმეორებით მოთავსების შემთხვევებს. ასე მაგალითად, პატიმარი ს.ს. დეესკალაციის ოთახში მოათავსეს 5 დეკემბერს, გამოიყვანეს 8 დეკემბერს. კვლავ მოათავსეს 8 დეკემბერს და გამოიყვანეს 11 დეკემბერს. 11 დეკემბერს კვლავ შეიყვანეს დეესკალაციაში და გამოიყვანეს 14 დეკემბერს, 15 დეკემბერს კვლავ მოათავსეს და 18 დეკემბერს გამოიყვანეს. აღსანიშნავია, რომ მითითებული პატიმარი დეესკალაციის ოთახიდან გამოჰყავდათ და იმავე დღეს აბრუნებდნენ უკან. ამ შემთხვევაში აღნიშნულ პატიმარს დეესკალაციის ოთახში ყოფნა მოუწია 5 დეკემბრიდან 18 დეკემბრამდე (13 დღე).

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ბრძანებაში მითითებულია დებულებით განსაზღვრული საფუძველი (საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რისკი), პატიმრების განცხადებით, დეესკალაციის ოთახში მოთავსება რეალურად ხორციელდება დებულებაში განსაზღვრული საფუძვლების გარეშე. კერძოდ, გამოკითხული პატიმრების განცხადებით, დეესკალაციის ოთახში მოთავსების რეალურ მიზეზს სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევა და დაწესებულების თანამშრომლებისთვის შეურაცხყოფის მიყენება წარმოადგენს და არა დებულებით განსაზღვრული საფუძვლები. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრაქტიკა უკანონოა და მიუთითებს დაწესებულებაში არაფორმალური დასჯის არსებობაზე.

არაფორმალური დასჯის შთაბეჭდილებას ქმნის ერთი და იგივე პატიმრების დეესკალაციის ოთახში რამდენჯერმე რამდენიმე დღის ინტერვალით მოთავსების პრაქტიკა. ასე მაგალითად, 2018 წლის თებერვლის და მარტის თვეში პატიმარი პ.ხ. დეესკალაციის ოთახში რამდენიმე დღის ინტერვალით გადაყვანილი იყო 7-ჯერ. ასევე, საგულისხმოა, რომ მითითებული პატიმარი 2017 წლის აპრილის თვიდან და 2018 წლის მარტის თვის ჩათვლით დეესკალაციის ოთახში მოთავსებული იყო 16-ჯერ (ჯამში 45 დღე). ასევე, პატიმარი ს.ს. 2017 წლის მარტის თვიდან 2018 წლის მარტის თვემდე გადაყვანილი იყო 12-ჯერ (სულ 31 დღე); პატიმარი ს.ი.

[10]იხილეთ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2014 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2015) პარ. 94.

2017 წლის აპრილიდან 2018 წლის მარტის თვემდე გადაყვანილი იყო 16-ჯერ (სულ 45 დღე); პატიმარი ნ.ბ. 2017 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით გადაყვანილი იყო 12-ჯერ (სულ 35 დღე).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უცვლელია სახალხო დამცველის პოზიცია იმის შესახებ, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება შესაძლოა იყოს მხოლოდ იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს[11] და პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს სხვა ზომებს, მათ შორის, მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) მიერ პატიმრისათვის ადეკვატური დახმარების გაწევით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პრობლემურია სახალხო დამცველის რწმუნებულთან/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთან გასაუბრების მიზნით, დეესკალაციის ოთახიდან პატიმრის გამოყვანასთან დაკავშირებით, N6 დაწესებულების დებულებაში არსებული რეგულაცია. კერძოდ, დებულების 27-ე მუხლით, სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის მიზნით პატიმრის დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის პროცედურა არ არის გაწერილი. აღნიშნულის გამო, 2018 წლის 2 აპრილს სახალხო დამცველის რწმუნებულებს მსჯავრდებულთან შეხვედრა მოუწიათ დეესკალაციის ოთახში, სადაც არ იდგა მაგიდა, სკამი, საწოლი ან რაიმე სახის ინვენტარი, მიმდინარეობდა ვიდეომეთვალყურეობა, არ იყო საკმარისი განათება და ამრიგად, ვერ მოხერხდა მსჯავრდებულის სხეულის სრული დათვალიერება, მსჯავრდებულის მიერ ახსნა-განმარტების დაწერა.[12] შესაბამისად, 2018 წლის 27 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით [13] მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ცვლილება შეეტანა N6 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში, [14] რათა სახალხო დამცველის რწმუნებულის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მოთხოვნის საფუძველზე მოხდეს პატიმრის დეესკალაციის ოთახიდან გაყვანა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2018 წლის 6 აგვისტოს პასუხის თანახმად, იუსტიციის მინისტრის მიერ ახალი ნორმატიული აქტების გამოცემისას გათვალისწინებული იქნება მითითებული რეკომენდაცია.

<u>განცალკევებით მოთავსება</u>

განცალკევებით მოთავსება კიდევ უფრო მეტად ზღუდავს თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებრივ მდგომარეობას. თავისუფლების აღკვეთის აღსრულება თავისთავად არ მოიცავს

---

[11] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 52. http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf [ბოლოს ნანახია 10.07.2018].

[12] მსჯავრდებულისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა და სხეულის დათვალიერება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული დააბრუნეს მის საკანში.

[13] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2018 წლის 27 ივლისის N15-12/9926 წერილი.

[14] ასევე, ყველა სხვა პენიტენციური დაწესებულების დებულებაში, სადაც ფუნქციონირებს დეესკალაციის ოთახები.

აღსრულების პროცესში პატიმრებისთვის დამატებითი შეზღუდვების დაწესებას და შესაბამისად, მათი გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს.[15]

N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების შესაბამისად, როგორც წესი, პატიმრები თავსდებიან ერთ ან ორადგილიან საკნებში.[16] პატიმრის ერთ ან ორადგილიან საკანში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს დირექტორის დისკრეციას და ამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ნორმატიულად განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, აღნიშნული დებულება, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს შესაძლებლობას აძლევს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე პატიმარი ხანგრძლივი დროით მოათავსოს ერთადგილიან საკანში და შეუზღუდოს სხვა პატიმართან კონტაქტის შესაძლებლობა ხანგრძლივი ვადით, რაც შეიძლება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდეს.

წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის შეფასებით, განცალკევებით მოთავსებას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პატიმარი ფიზიკურად და სოციალურად იზოლირებულია საკანში, დღე-ღამის განმავლობაში 22 საათიდან 24 საათამდე დროით. იგი ხანგრძლივ განცალკევებად მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც ასეთი განცალკევების ხანგრძლივობა 15 დღეს აღემატება, ვინაიდან, როგორც ეს ლიტერატურაშია მითითებული, ამ პერიოდის შემდეგ პატიმრისათვის მიყენებული ფსიქოლოგიური ზიანი შეიძლება შეუქცევადი გახდეს. ასევე, მიიჩნევს, რომ რაც უფრო ხანგრძლივია განცალკევებით მოთავსება ან რაც უფრო გაურკვეველია, თუ რამდენი ხნით მოუწევს პატიმარს განცალკევებით ყოფნა, მით უფრო დიდია პატიმრისათვის სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რისკი, რაც წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს და უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, წამებასაც.[17] ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, პატიმრების განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვა მოხდეს სავალდებულო წესით, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით, თუმცა მითითებული რეკომენდაცია არ შესრულებულა.[18]

სახალხო დამცველი თვლის, რომ აუცილებელია შესაბამისი ცვლილებები შევიდეს N6 დაწესებულების დებულებაში, რათა პატიმრის ერთადგილიან საკანში მოთავსება ხდებოდეს მხოლოდ პატიმრისგან მომავალი იმწუთიერი რისკის ინდივიდუალური შეფასებისა და

---

[15]წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 21-ე ზოგადი მოხსენება, პარ. 55. CPT/Inf (2011) 28 https://rm.coe.int/1680696a88

[16] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული N6 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხლი 15.

[17]წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში. სრული ტექსტი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე:
http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/66/268 [ბოლოს ნანახია 26.07.2018]

[18]საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 69.
http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების 14 დღიანი ინტერვალებით გადახედვა და განცალკევების მოთავსების ზომა უნდა შეწყდეს პატიმრისაგან მომავალი რისკის აღმოფხვრისთანავე.

<u>სპეციალური საშუალების - ხელბორკილის გამოყენება</u>

მანდელას წესების შესაბამისად, შეზღუდვის საშუალების გამოყენება დაშვებულია **მხოლოდ საჭირო დროის მონაკვეთში** და **უნდა მოიხსნას პატიმრის უკონტროლო მოძრაობით გამოწვეული რისკის გაქრობისთანავე.**[19] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პატიმართა მიმართ დაწესებულების ტერიტორიაზე ხელბორკილის გამოყენება უნდა იყოს საგამონაკლისო ზომა, დაფუძნებული ინდივიდუალურ რისკის შეფასებაზე და უნდა გადაიხედოს ხშირად და რეგულარულად.[20]

საქართველოს პატიმრობის კოდექსი[21] და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის სპეციალური ბრძანება [22] ადგენს, რომ პატიმრის მიმართ ხელბორკილების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის წინააღმდეგობას უწევს ან/და არ ემორჩილება დაწესებულების თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას; საფრთხეს უქმნის საკუთარ ან/და სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება ან ცდილობს გაქცევას, ასევე, თუ არსებობს ზემოაღნიშნული გარემოებების დადგომის გონივრული ეჭვი. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №145 ბრძანების შესაბამისად, „სპეციალური საშუალების **გამოყენება უნდა შეწყდეს იმ საფუძვლის აღმოფხვრისთანავე,** რომლის გამოც ხორციელდება აღნიშნული სპეციალური საშუალების გამოყენება ან როდესაც აშკარაა, რომ გამოსაყენებელი საშუალებით ვერ მიიღწევა ლეგიტიმური მიზანი“. აგრეთვე, სპეციალური საშუალებების ყოველი გამოყენებისას **უნდა მოხდეს არსებული სიტუაციის დინამიკაში შეფასება.**[23]

---

[19]მანდელას წესები, წესი 48 (გ).

[20] ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში უკრაინის მთავარობისადმი უკრაინაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის მიერ 2014 წელს, პარა. 53, გამოქვეყნდა 2015 წლის 27 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-ukr-20140909-en-9{ბოლოს ნანახია 09.07.2018]

[21]საქართველოს პატიმრობის კოდექსის 57[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[22] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[23] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N145 ბრძანება, სპეციალური პენიტენციური სამსახურის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2494764[ბოლოს ნანახია: 09.07.2018].

N6 დაწესებულების დებულებაში 2016 წლის 27 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით გაუქმდა დაწესებულებაში პატიმრის გადაადგილებისას ხელბორკილის უპირობოდ გამოყენების ვალდებულება და განისაზღვრა, რომ დაწესებულებაში მსჯავრდებულების საკნიდან გამოყვანა და გადაადგილება როგორც წესი, ხორციელდება ხელბორკილების გამოყენების გარეშე, თუმცა ზემოთ მითითებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის საკნიდან გამოყვანა და დაწესებულებაში გადაადგილება დანიშნულების ადგილზე მიყვანამდე, დასაშვებია ხელბორკილის გამოყენებით. [24] ამავე ცვლილების საფუძველზე დადგინდა, რომ ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ ხელბორკილის გამოყენება დასაშვებია იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი გამოყენება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა.[25]

N6 დაწესებულებაში განხორციელებული შემოწმების დროს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაადგინა, რომ მსჯავრდებულების მიმართ ხელბორკილების გამოყენების დაწესება ყველა შემთხვევაში ხდება 1 თვის ვადით და დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაწესებულების დირექტორმა განმეორებით, ზედიზედ რამდენჯერმე კვლავ დააწესა ზოგიერთი მსჯავრდებულის მიმართ ხელბორკილების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიების განმეორებით გამოყენების რაოდენობა შეზღუდული არ არის და დაწესებულების დირექტორს შეუძლია მისი გამოყენება ზედიზედ რამდენჯერმე, მათ შორის, მსჯავრდებულის დაწესებულებაში ყოფნის მთელ პერიოდში. ამასთან, პრობლემურია ხელბორკილების გამოყენების დასაბუთება. ხელბორკილების დადების შესახებ ბრძანებაში არ არის დასაბუთებული მისი გამოყენების აუცილებლობა და არ არის აღწერილი ის გარემოებები, რამაც აღნიშნული სპეციალური საშუალების გამოყენება განაპირობა. ხელბორკილების გამოყენების შესახებ ბრძანებები ყველა შემთხვევაში შაბლონურია და სხვადასხვა მსჯავრდებულის მიმართ გამოყენების მიუხედავად ბრძანებები ერთი და იგივე დასაბუთების ტექსტს მოიცავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ N6 დაწესებულებაში პატიმრების გადაადგილებისას ხელბორკილების გამოყენება ხდება კონკრეტულ შემთხვევაში პატიმრის მხრიდან მომავალი იმწუთიერი რისკის შეფასებისა და გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთების გარეშე.

მითითებული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ცვლილებები შევიდეს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში, კერძოდ, გაუქმდეს მე-19 მუხლის 1^1 და 1^2 პუნქტები და განისაზღვროს, რომ მსჯავრდებულის მიმართ ხელბორკილის გამოყენება დასაშვებია პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე იმწუთიერი რისკის თანაზომიერად და მხოლოდ რისკის არსებობის დროის

---

[24] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-19 მუხლის 1 და 1^1 პუნქტები.

[25] ამავე მუხლის 1^2 პუნქტი.

მონაკვეთში, რაც უნდა განხორციელდეს პატიმრობის კოდექსის 57[1]-ე მუხლის და მინისტრის მიერ N145 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

<u>სრული შემოწმების პრაქტიკა</u>

ნებისმიერი სახის სხეულის შემოწმებას შესაძლებელია ჰქონდეს დამცირებისა და დაშინების ეფექტი, რაც უფრო ინტრუზიულია შემოწმების მეთოდი, მით უფრო ძლიერია ინვაზიურობის შეგრძნება.[26] სამწუხაროდ, N6 დაწესებულებაში კვლავ ხდება სრული შემოწმებისას სრულად გაშიშვლებისა და ე.წ „ბუქნების გაკეთების" პრაქტიკა. სპეციალური პრევენციული ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია, ყველა შემთხვევაში, სრული შემოწმება განხორციელდეს ადამიანის პატივისა და ღირსების პატივისცემის პირობებში და მიაჩნია, რომ სრული შემოწმებისას უნდა მოხდეს სხეულის ცალკეული ნაწილის გაშიშვლება და არცერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს სრულად გაშიშვლება.[27]

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში სრული შემოწმების საშუალებად შემოღებულ იყოს სკანირება და ამ მიზნით შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულიყო დაწესებულებების დებულებებში. საგულისხმოა, რომ N6 დაწესებულების დებულების 21-ე მუხლის მე-8[1] პუნქტის თანახმად, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის, პირადი სრული შემოწმება ხორციელდება სკანერის გამოყენებით, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული უარს განაცხადებს სკანერით შემოწმებაზე, ექვემდებარება შემოწმებას ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. სამწუხაროა, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს სკანირების მეთოდი დაწესებულებაში დანერგილი არ იყო.

---

[26]წამების პრევენციის ასოციაცია, ციხის საერთაშორისო რეფორმა, სხეულის შემოწმების პროცედურები, წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკ-ფაქტორების გათვალისწინება, დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: https://www.penalreform.org/wp-content/uploads/2016/01/factsheet-4-searches-2nd-v5.pdf [ბოლოს ნანახია 30.05.2018].

[27] ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთის მთავარობისადმი ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT), მიერ 2014 წლის 1-10 აპრილისჩათვლით, პარა. 85, გამოქვეყნდა 2015 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{%E2%80%9Cfulltext%E2%80%9D:[%E2%80%9Csquat%E2%80%9D],%E2%80%9DCPTSectionID%E2%80%9D:[%E2%80%9Cp-cze-20140401-en-30 [ბოლოს ნანახია: 30.05.2018].

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2019 წლის განმავლობაში განხორციელდეს N6 პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისა და რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლების გადამზადება ისეთ საკითხებში, როგორიცაა კონფლიქტის პრევენცია, მედიაცია და პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის პრინციპები
- 2019 წლის განმავლობაში ცვლილებები შევიდეს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში, კერძოდ, გაუქმდეს მე-19 მუხლის 1^1 და 1^2 პუნქტები და განისაზღვროს, რომ მსჯავრდებულის მიმართ ხელბორკილის გამოყენება დასაშვებია პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე იმწუთიერი რისკის თანაზომიერად და მხოლოდ რისკის არსებობის დროის მონაკვეთში, რაც უნდა განხორციელდეს პატიმრობის კოდექსის 57^1-ე მუხლის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N145 ბრძანების შესაბამისად
- N6 დაწესებულების დებულების 21-ე მუხლის მე-9 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნას სიტყვები - „მთლიანად გაიხადოს“
- პატიმართა პირადი შემოწმების მიზნით უზრუნველყოს დაწესებულებაში სკანერის დამონტაჟება
- 2019 წელს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში ცვლილების შეტანის გზით, დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი
- 2019 წლის განმავლობაში დეესკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით
- 2019 წელს დეესკალაციის ოთახებში ტუალეტის ნიჟარა იმგვარად მოეწყოს, რომ არ მოხვდეს სათვალთვალო კამერის ხედვის არეალში
- 2019 წელს სისტემური შემოწმებისა და თანმდევი რეაგირების გზით, უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის მიერ დეესკალაციის ოთახებში მოთავსებული პატიმრების მიმართ არაადამიანური ანდა დამამცირებელი მოპყრობის პრევენცია
- 2019 წელს ცვლილებები შევიდეს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-15 მუხლში და განისაზღვროს, რომ პატიმრის ერთადგილიან საკანში მოთავსება ხდებოდეს მხოლოდ პატიმრის რისკის ინდივიდუალური შეფასებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების 14 დღიანი ინტერვალებით გადახედვა

4. 4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო

<u>საცხოვრებელ საკნებში არსებული მდგომარეობა</u>

დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემოწმებულ საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე–3 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას, [28] რაც მისასალმებელია. სამწუხაროდ, საცხოვრებელ საკნებში ხელოვნური ვენტილაცია კვლავაც არასაკმარისია,[29] რიგ საკნებში ასევე არასაკმარისია ბუნებრივი განათება.[30] იატაკი არის ბეტონის (ცივი), რაც შეიძლება ცუდად აისახოს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. საპირფარეშოებში არ არის დამონტაჟებული წყლის ჩასარეცხი ავზი, პირსაბან ნიჟარებს აქვს კოროზია. მართალია, საპირფარეშო იზოლირებულია საკნის დანარჩენი ფართისგან, მაგრამ საპირფარეშოს კარი სრულად არ ფარავს შესასვლელს და დარჩენილი ღია სივრციდან არასასიამოვნო სუნი საკანში აღწევს.

საცხოვრებელი პირობების კუთხით კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა იმ საკნებში, რომლებსაც ფანჯრის მხრიდან ესაზღვრება სართულებზე ასასვლელი, გარე კიბე. როგორც პატიმრები აცხადებენ, ამ საკნებში დასჯის მიზნით ათავსებენ „ურჩ“ პატიმრებს. ასეთ საკნებში არ შედის დღის შუქი და ჰაერი. კიბეზე ხშირი მოძრაობის გამო საკნებში მუდმივად შემოდის მტვერი და ხმაური. არსებული პირობების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ გაუქმდეს აღნიშნული საკნები და აღარ მოხდეს იქ პატიმართა მოთავსება.

<u>დეესკალაციის ოთახებში არსებული მდგომარეობა</u>

დეესკალაციის ოთახებში[31] დაცული არ არის სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა, ბეტონის (ცივ) იატაკზე დევს დაზიანებული ლეიბი, არ იღება ფანჯრები და შესაბამისად არ ხდება ბუნებრივი ვენტილაცია. ბუნებრივი განათება და გათბობა არასაკმარისია.

დეესკალაციის ოთახებში მყოფ პატიმრებს ვიზიტის დღეს არ ჰქონდათ ჰიგიენის დაცვის საშუალებები. პატიმრებს ამ ოთახში ყოფნის პერიოდში არ აქვთ ჭურჭლის სარეცხი საშუალებები (ჟელე და ღრუბელი), რის გამოც ხშირად უარს აცხადებენ საკვების მიღებაზე.

<u>ხანმოკლე პაემნების კაბინები</u>

---

[28] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“. 1 ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები.

[29] საგამოძიებო ოთახებში ხელოვნური ვენტილაცია საერთოდ არ არის.

[30] იგულისხმება საკნები, რომელთა ფანჯრებს მეორე საცხოვრებელი კორპუსის კედელი ეფარება.

[31] ვიზიტისას დეესკალაციის 6 ოთახში მიმდინარეობდა საწოლების დამონტაჟება.

დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნებისთვის განკუთვნილი[32] კაბინები გადატიხრულია მინის გამყოფი ბარიერით. [33] პატიმრებს ახლობლებთან ურთიერთობა უწევთ ტელეფონის საშუალებით და არ აქვთ ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა. ხანმოკლე პაემნის ოთახში არ არის ბუნებრივი ვენტილაცია,[34] ხოლო ვიზიტორებისათვის განკუთვნილ სივრცეში - გათბობა.

<u>სუფთა ჰაერზე ყოფნა/გასეირნების უფლებით სარგებლობა</u>

დაწესებულებაში არსებულ 14 სასეირნო ეზოში[35] დამონტაჟებულია ე.წ. ტურნიკი, ორძელი და კომბინირებული ტრენაჟორი, 14 სასეირნო ეზოდან 7 ეზოში ტურნიკისა და ორძელის გარდა, ვიზიტის დროს განთავსებული იყო თითო მულტი-ტრენაჟორი, რომელიც ჯერ არ გამოიყენებოდა. N6 დაწესებულებაში პატიმრები 23 საათს ატარებენ საკნებში და მხოლოდ 1 საათის განმავლობაში იმყოფებიან სასეირნო ეზოებში. პატიმრების განცხადებით, მათ გასეირნებას დილის 8 საათზე სთავაზობენ რის გამოც, პატიმრების ნაწილი თავს იკავებს გასეირნების უფლებით სარგებლობისგან. სასეირნო ეზოების სავარჯიშო ინვენტარით მოწყობა მისასალმებელია, თუმცა სახალხო დამცველი თვლის, რომ აუცილებელია, N6 დაწესებულებაში ცვლილების შეტანის გზით ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა გაიზარდოს 2 საათამდე, ვინაიდან სუფთა ჰაერზე ყოფნის დეფიციტი უარყოფით გავლენას ახდენს პატიმართა როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. აღსანიშნავია, რომ პატიმრობის კოდექსით სუფთა ჰაერზე პატიმრების გასეირნების მინიმალურ დროდ დადგენილია ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათი, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ N6 დაწესებულებაში პატიმრების სუფთა ჰაერზე გასეირნება მოხდეს ყოველდღიურად, 2 საათის ხანგრძლივობით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, N6 დაწესებულებაში არსებული პირობები არ არის მიახლოებული ციხის გარეთ არსებულ ჩვეულებრივ საცხოვრებელ პირობებთან და ეწინააღმდეგება ნორმალიზაციის პრინციპს, [36] რაც ქმნის პატიმრის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რეალურ საფრთხეს.

---

[32]პატიმართა ხანმოკლე პაემნებისთვის განკუთვნილია 13 კაბინა.

[33]მინის გამყოფი ბარიერი ორივე მხრიდან აღჭურვილია ლითონის ბადეებით.

[34] ხანმოკლე პაემნის ოთახში არსებული ფანჯრები ჩაკეტილია ბოქლომით.

[35]სულ ფუნქციონირებს 29 სასეირნო ეზო, ყველა ეზო აღჭურვილია ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემით. ეზოები ნაწილობრივ ისეა გადახურული, რომ პატიმარმა შეძლოს წვიმიან ამინდში გასეირნება.

[36]ევროპის საბჭო,მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები ევროსაბჭოს წევრი სახელწმიფოებისადმი ხანგრძლივი და უვადო პატიმრების მართვასთან დაკავშირებით (მიღებულია 2003 წლის 9 ოქტომბერს) პარა. 4. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე:
https://pjp-eu.coe.int/documents/3983922/6970334/CMRec+%282003%29+23+on+the+management+of+life+sentence+and+other+long+term+prisoners.pdf/bb16b837-7a88-4b12-b9e8-803c734a6117 [ბოლოს ნანახია: 25.07.18]

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **2019 წლის განმავლობაში უზრუნველყოს შემდეგი სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ამ მიზნით, 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას საჭირო ფინანსური ხარჯების გათვალისწინება:**
    - **საცხოვრებელ საკნებში არსებული საპირფარეშოების სრულად იზოლირება საკნის დანარჩენი სივრცისგან;**
    - **საცხოვრებელი საკნების საპირფარეშოებში წყლის ჩასარეცხი ავზების დამონტაჟება;**
    - **საცხოვრებელი საკნების საპირფარეშოებში პირსაბანი ნიჟარების გამოცვლა;**
    - **ხანმოკლე პაემნების ოთახებში (ვიზიტორებისთვის განკუთვნილ სივრცეში) გათბობის სისტემის დამონტაჟება;**
    - **საცხოვრებელ საკნებში არსებულ ბეტონის იატაკზე ჯანმრთელობისათვის უვნებელი სხვა საშუალების დაგება;**
- **უზრუნველყოს დეესკალაციის ოთახებში სანიტარიულ–ჰიგიენური ნორმების დაცვა მათი რეგულარულად დასუფთავების გზით**
- **2019 წლის განმავლობაში, უზრუნველყოს ვენტილაციის და გათბობის სისტემის ტექნიკური შემოწმება და შემოწმების შედეგების გაცნობა სახალხო დამცველისთვის;**
- **2019 წელს უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნების ოთახებში ბუნებრივი ვენტილაცია ფანჯრების გაღების გზით**
- **2019 წელს დაწესებულების დებულებით სუფთა ჰაერზე ყოფნის დროდ განისაზღვროს არანაკლებ 2 საათისა**
- **არსებული არასათანადო საცხოვრებელი პირობების გამო, გაუქმდეს ის საკნები, რომლებსაც ფანჯრის მხრიდან ესაზღვრება სართულებზე ასასვლელი, გარე კიბე**

4.2 რეაბილიტაცია

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულები გამოხატავენ სურვილს,[37] ჩაერთონ სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებში, 2018 წლის პირველი 3 თვის მანძილზე დაწესებულებაში

[37]სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებებში (მათ შორის მოიაზრება N6 განსაკუთრებული რისკის დაწესებულება) მყოფი რესპონდენტების უფრო დიდი რაოდენობა (48.7%) გამოთქვამს მონაწილეობის სურვილს, ვიდრე ნახევრად ღია ტიპის პენიტენციური დაწესებულების პატიმრები (23.6%). ზუსტად ასეთივე განსხვავება ვლინდება კულტურულ ღონისძიებებში, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებსა და სპორტულ ღონისძიებებში პატიმრების ჩართულობის სურვილსა და პენიტენციური დაწესებულების ტიპს შორის. კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების სურვილი დახურული ტიპის დაწესებულებებში გამოკითხულ პატიმართა 43.8%-მა გამოხატა, ხოლო ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში 19.3%-მა; ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებში მონაწილეობის მიღების სურვილი დახურული ტიპის დაწესებულებებში გამოკითხულ პატიმართა - 42.5 %–მა

სარეაბილიტაციო აქტივობა არ განხორციელებულა; 2017 წელს მხოლოდ 3 სარეაბილიტაციო აქტივობა განხორციელდა: არტ-თერაპია (8 პატიმარი); ბრაზის მართვა (5 პატიმარი) და პენიტენციური სტრესის მართვა (8 პატიმარი).

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, სარეაბილიტაციო აქტივობების სიმწირე დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ გარემოს და უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე. ამდენად, N6 დაწესებულებაში, როგორც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში, მყოფი პატიმრებისთვის უმნიშვნელოვანესია მრავალფეროვანი და რეგულარული ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების შეთავაზება, რათა ხელი შეეწყოს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს და მათ რეაბილიტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ დაწესებულების უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით მსჯავრდებულებს შეეთავაზოთ სხვადასხვა აქტივობები სოციალური განყოფილება უნდა გაძლიერდეს ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რათა განყოფილებამ იმუშაოს ახალ სარეაბილიტაციო აქტივობებზე და რაც მთავარია, მსჯავრდებულებთან ამ აქტივობებში ჩართვის მოტივაციის შექმნაზე. მსჯავრდებულთა მოტივირების მიზნით აუცილებელია პროგრამებში მონაწილეობისათვის მათი წახალისება. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის იანვრიდან მარტის თვის ჩათვლით, დაწესებულებაში სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო[38]მხოლოდ 6 პატიმარი წახალისდა.[39]

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოცემული გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ აქტივობებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური ჯგუფის ყველა სპეციალისტის მიერ უნდა განხორციელდეს (ან უკვე განხორციელდა). თუ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით დასახული მიზნის მისაღწევად დადგენილია, მაგალითად, 3 ან 4 თვე, მიზანი მიღწეულ იქნა თუ არა, ამის შეფასება ხდება არა ამ ვადის დასრულებისას, არამედ 12 თვის შემდეგ. ამასთან, არ არის წარმოდგენილი მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხერხდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით დაგეგმილი აქტივობის შესრულება გეგმით განსაზღვრულ დროში. სოციალურ სამსახურს არ აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის საშუალებით სასჯელის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა გაიზომება, მაგალითად, ასახულია მხოლოდ ფაქტი - „გაუმჯობესდა რწმენა და თვითშეფასება“, თუმცა არ

გამოხატა, ხოლო ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში – 21.1%-მა; რაც შეეხება სპორტულ ღონისძიებებს, ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილი დახურული ტიპის დაწესებულებებში გამოკითხულ პატიმართა 47%-მა გამოხატა, ხოლო ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში 22%-მა.

[38]დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება – 1 შემთხვევა; დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება – 3 შემთხვევა; დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა – 2 შემთხვევა.

[39]ვინაიდან დაწესებულებაში 2018 წლის პირველი სამი თვის მანძილზე სარეაბილიტაციო აქტივობა არ განხორციელებულა, შესაბამისად, სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო არავინ წახალისებულა.

არის აღნიშნული კონკრეტულად რა ცვლილებაზეა საუბარი და როგორ შეძლო მსჯავრდებულმა ამ ცვლილების განხორციელება. საგულისხმოა, რომ მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმებით განესაზღვრებათ მხოლოდ იმ აქტივობებში ჩართვა, რაც დაწესებულების უკიდურესად ვიწრო შესაძლებლობის ფარგლებშია ხელმისაწვდომი და ასეთ პირობებში შეუძლებელია მსჯავრდებულის საჭიროებების საპასუხო, ეფექტიანი ინტერვენციის განხორციელება.

სოციალურ განყოფილებაში დასაქმებულია 12 თანამშრომელი: სოციალური სამსახურის უფროსი, 9 სოციალური მუშაკი და 2 ფსიქოლოგი. ვაკანტურია 1 ფსიქოლოგის და 1 სოციალური მუშაკის ფსიქოლოგები არ მუშაობენ იმ პატიმრებთან, რომლებმაც არ ითხოვეს მათთან შეხვედრა ან შეხვედრის აუცილებლობის შესახებ არ მიიღეს ინფორმაცია დაწესებულების სხვა თანამშრომლების მხრიდან. უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგებს არ აქვთ უფლება გაესაუბრონ საკნებში მყოფ პატიმრებს უსაფრთხოების/რეჟიმის თანამშრომლის თანხლების გარეშე. ანალოგიური მდგომარეობაა სოციალური მუშაკის შემთხვევაშიც. [40] აღნიშნული არღვევს მათი საუბრის კონფიდენციალურობას, ასევე ხელს უშლის პატიმართან მუშაობის პროცესს.

უსაფრთხოების/რეჟიმის ინტერესებიდან გამომდინარე, დაწესებულებაში პრაქტიკულად შეუძლებელია ჯგუფური თერაპიის ჩატარება. დაწესებულების ორივე ფსიქოლოგი ინდივიდუალურად მუშაობს 40-მდე პატიმართან. აღნიშნულ პატიმრებს ფსიქოლოგები ხვდებიან საცხოვრებელი კორპუსის თავისუფალ საკანში (კონფიდენციალურ გარემოში), სადაც არ არის თერაპიული გარემო. [41] დაწესებულების სოციალური მუშაკები პირადი საუბრებით ცდილობენ პატიმრების მოტივირებას სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვისა და ფსიქოლოგთან შეხვედრის საჭიროების კუთხით. ისინი მოტივაციური ინტერვიუს მეთოდს პრაქტიკაში არ იყენებენ.

დაწესებულებების ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკებზე არსებული მაღალი მოთხოვნისა და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის ფონზე, მნიშვნელოვანია როგორც ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.

ციხის ევროპული წესების თანახმად, ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.[42]პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.[43]სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულებს უწევთ ისეთი სამუშაოების შესრულება,

---

[40]იგი პატიმრებთან საკანში არ შედის და მათ ესაუბრება ე.წ. საკვებურიდან, გარდა ამისა, მას ახლავს დაწესებულების უსაფრთხოებისან რეჟიმის თანამშრომელი.

[41]თითო შეხვედრის ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 40 წუთს.

[42]ევროპული ციხის წესები, წესი 26.2

[43] იხ. იქვე 26.3

მაგალითად, როგორიცაა საკვების პატიმრებისთვის დარიგება, რეცხვა, დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული მაღაზიიდან საკვები პროდუქტებისა და დამატებითი მოხმარების საგნების მიწოდება, დალაგება-დასუფთავება და სხვა, რაც ნაკლებად მისცემს პატიმარს იმის შესაძლებლობას, რომ განთავსუფლების შემდგომ შეუნარჩუნოს ან განავითაროს თავის რჩენის უნარი. ამასთან, ასეთი სამუშაოს შესრულება დაკავშირებულია ძლიერ სტიგმასთან. მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში შეიქმნას დასაქმების ისეთი შესაძლებლობა, რაც მსჯავრდებულებს დაწესებულების დატოვების შემდგომ თავის რჩენაში დაეხმარება.

ვიზიტის დროს, დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ირიცხებოდა 23 მსჯავრდებული. [44] სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრები შაბათ-კვირას, უქმე და სადღესასწაულო დღეებში ისვენებენ და არ ასრულებენ სამუშაოებს, გარდა სარეჟიმო კორპუსებზე საკვების განაწილებისა. ამ პატიმრებს ყოველდღიურად (დღეში სამჯერ) უწევთ საკვებით სავსე ქვაბების პატიმართა საცხოვრებელ კორპუსში ტარება, რაც ქმნის მუშაობის მძიმე პირობებს და მნიშვნელოვანია გამოინახოს ამ სამუშაოს შემსუბუქების გზები (მაგალითად, დაწესებულება აღიჭურვოს საკვების გადასატანი ლიფტებით).

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **2019 წლის მანძილზე, N6 დაწესებულებაში უზრუნველყოს შემდეგი ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება: „ბრაზის მართვა“, „პენიტენციური სტრესის მართვა“, „ართ თერაპია“, „კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება“, „ნაბიჯი ცვლილებისკენ“, „სტიგმა და დისკრიმინაცია“**
- **უზრუნველყოს სოციალური სამსახურის ვაკანტური ადგილების შევსება**
- **2019 წლის მანძილზე დაწესებულების ყველა საცხოვრებელ კორპუსში უზრუნველყოს ფსიქოლოგის სამუშაო (თერაპიული) ოთახების მოწყობა**
- **2019 წლის მანძილზე უზრუნველყოს სოციალური სამსახურის ყველა თანამშრომლის პროფესიული გადამზადება**
- **2019 წლის განმავლობაში, N6 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების გამოკითხვის გზით, გამოვლინდეს სამუშაოს სახე, რომელსაც ყველაზე მეტი მსჯავრდებული უჭერს მხარს და შედგეს მსჯავრდებულთა ამ სამუშაოზე დასაქმების გეგმა**
- **სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული საკვების დარიგებაზე პასუხისმგებელი პატიმრებისთვის სამუშაოს შემსუბუქების მიზნით დაწესებულება აღიჭურვოს საკვების გადასატანი ლიფტებით**
- **სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების შევსების ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით:**

[44] 2018 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლითდაწესებულების დირექტორს დასაქმების თხოვნით 12 პატიმარმა მიმართა, აქედან ყველა თხოვნა დაკმაყოფილდა.

- სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმებში დოკუმენტირდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის ყველა წევრის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობები
- იმ შემთხვევებში, თუ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრულ დროში ვერ მოხდება დაგეგმილი აქტივობების შესრულება, სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმებში აისახოს აქტივობების შეუსრულებლობის მიზეზები
- უზრუნველყოს სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება, რომლის საშუალებითაც გაიზომება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა

5. სამედიცინო მომსახურება

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს ემსახურებოდა 2 პირველადი ჯანდაცვის გუნდი. დაწესებულებაში ასევე არის საექიმო-სამედიცინო პუნქტი, რომელიც განთავსებულია მე-2 კორპუსის პირველ სართულზე.[45] სამედიცინო ნაწილის საკნები ნესტიანია. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს სამედიცინო ნაწილში მოთავსებული იყო 3 პატიმარი. სამედიცინო ნაწილში შესაძლებელია სხვადასხვა სახის მანიპულაციების ჩატარება.[46]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N6 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის მხრიდან უყურადღებობაზე. მათი განმარტებით, ხშირად პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის ლოდინი უწევთ.

ფსიქოტროპული წამლების სამარაგო განთავსებულია დაწესებულების პირველ კორპუსში. ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები ინახება ცალკე რკინის კარადაში. სამარაგო არ არის აღჭურვილი კონდიციონერით, რაც ზაფხულის თვეებში შეუძლებელს ხდის წამლის შენახვის ტემპერატურული რეჟიმის დაცვას. ამასთან, პატიმრებს საკუთარი ხარჯით დამატებითი მედიკამენტების შეძენა დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიის მეშვეობით შეუძლიათ.

---

[45] საექიმო-სამედიცინო პუნქტში ფუნქციონირებს: ექიმთა საორდინატორო, მორიგე სამედიცინო პერსონალის კაბინეტი, სამანიპულაციო კაბინეტი, აივ-ინფექცია/შიდსის და C ჰეპატიტის კვლევის ოთახი, სტომატოლოგიური კაბინეტი, რენტგენის კაბინეტი, სასტერილიზაციო ოთახი, ავადმყოფთა მომსახურებისათვის რვა ერთსაწოლიანი პალატა.

[46] ინტრავენური გადასხმები, ინექციები, შეხვევები, მცირე ქირურგიული მანიპულაციები, რენტგენოგრაფია, სისხლის ექსპრეს ანალიზები ტესტ-ჩხირებით.

საჭიროების შემთხვევებში, დაწესებულებაში პერიოდულად შემოდიან სხვადასხვა სამედიცინო დარგის სპეციალისტები.[47] დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში კვირაში ერთხელ ტარდება ფსიქიატრის კონსულტაცია, სხვა ექიმი სპეციალისტები კი თვეში ერთხელ ატარებენ კონსულტაციებს. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს დაწესებულებაში არ ჩატარებულა ტრავმატოლოგისა და ენდოკრინოლოგის კონსულტაციები, თუმცა ვიზიტის დროს ამ სპეციალისტებთან ჩაწერილი იყვნენ პაციენტები.

დაწესებულებაში კონსულტაციაზე პატიმართა ჩაწერა ფიქსირდება კონსულტაციის აღრიცხვის ჟურნალში, თუმცა ჩაწერის თარიღები არსად არის მითითებული და შესაბამისად, შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენი ხანი უწევს ლოდინი კონსულტაციაზე ჩაწერილ პატიმარს.[48]

2018 წელს კვლავ პრობლემურია პაციენტისა და ექიმის შეხვედრის დროს კონფიდენციალობის დაცვის საკითხი. საყურადღებოა, რომ ექიმის კონსულტაცია ტარდება უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლის თანდასწრებით. ამასთან, ყველა ექიმის საკანში ვიზიტის დროს კონსულტაციაზე მიმდინარეობს ელექტრონული მეთვალყურეობა. სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში მიუთითებს ექიმისა და პაციენტის შეხვედრის დროს კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობაზე. გარდა ამისა, ხაზს უსვამს სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების საკითხს.[49] მნიშვნელოვანია, რომ ექიმის სიცოცხლე და ჯამრთელობა დაცული იყოს, ამასთან, რეალური და იმწუთიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში გარკვეული ზომები უნდა იქნეს მიღებული მისი უსაფრთხოების დასაცავად. თუმცა, მსგავსი ზომების მიღებისას ჩარევა უნდა იყოს მართლზომიერი და უნდა დოკუმენტირდეს წინასწარ განსაზღვრული ფორმით.

დადებითად უნდა აღინიშნოს სამედიცინო რეფერალის ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროულად დადასტურება, ასევე სასწრაფო-დაყოვნებადი ინტერვენციის დამატება. მიუხედავად დადებითი ცვლილებებისა არის შემთხვევები, როდესაც სამედიცინო მომსახურების მიღება გვიანდება, რაზეც მიუთითებენ პატიმრები. აღნიშნული ასევე დადასტურდა ერთიანი ელექტრონული ბაზის შესწავლის შედეგად. ასე მაგალითად,ერთ-ერთი მსჯავრდებული 2017 წლის თებერვალში გეგმიური ოპერაციული მკურნალობისთვის დარეგისტრირებული იქნა ერთიან ელექტრონულ ბაზაში, დიაგნოზით საზარდულის თიაქარი, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს სამედიცინო მომსახურება მიღებული არ ჰქონდა.

---

[47] ინფექციონისტი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, უროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი, სტომატოლოგი ორთოპედი.

[48] სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს ხსენებული პრობლემის მოგვარების რეკომენდაციით ჯერ კიდევ 2016 წელს მიმართა. 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, იხ. ბმული http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf [ბოლოს ნანახია 27.07.2018]

[49] N6 დაწესებულების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ.33, იხ. ბმული: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3808.pdf [ბოლოს ნანახია 27.07.2018]

6. კვება

ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა პატიმარი ჯანმრთელობისათვის საჭირო კვებითი ღირებულების, კარგად მომზადებული და სასარგებლო საკვებით.[50]პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში დადგენილია ერთი ძირითადი და ოთხი სახის დიეტური მენიუ. დიეტური მენიუ გათვალისწინებულია კუჭ-ნაწლავის პრობლემების მქონე, ღვიძლით, ტუბერკულოზით და დიაბეტით დაავადებული პატიმრებისათვის.

N6 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ მიწოდებული საკვების გემოსა და ხარისხთან დაკავშირებით. როგორც პატიმრები აცხადებენ, უმეტესად დაწესებულებაში არსებულ მაღაზიაში ნაყიდი საკვებით იკვებებიან, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ მაღაზიაში არსებული ფასები მაღალია.[51]

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს სამზარეულოსა და საკვები პროდუქტების საწყობში არსებითი დარღვევა არ აღმოუჩენია. საკვები მზადდებოდა სუფთა გარემოში, ხოლო საკვები პროდუქტების შენახვის პირობები და ვარგისიანობის ვადები დაცული იყო. პატიმრების ულუფაში არ შედის ხილი, მიეწოდებათ მხოლოდ კომპოტი, რომელიც გამომშრალი ხილისგან მზადდება.

დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ასევე ის გარემოება, რომ საკვების მომზადებისას არ ხდება სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინება, [52] რის გამოც ისინი ხშირად უარს აცხადებენ შეთავაზებული საკვების მიღებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მენიუს შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას რელიგიური თავისებურებები. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხი გასულ წლებშიც პრობლემას წარმოადგენდა სისტემურად, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, რის გამოც საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, საკვების მომზადებისას გათვალისწინებული ყოფილიყო პატიმრების კულტურული და რელიგიური თავისებურებები.[53]

გასაუბრების დროს პატიმრები ასევე უთითებენ წყლის ცუდ ხარისხზე. მათი თქმით, წყალს აქვს ნალექი, არასასიამოვნო სუნი, გემო და იწვევს კუჭ-ნაწლავის პრობლემებს. სპეციალური

---

[50]მანდელას წესები, წესი 22(1). ევროპული ციხის წესები, წესი 22.1-22.6.

[51] სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მაღაზიის ფასების შესწავლის დროს დადგინდა, რომ დაწესებულების მაღაზიაში არსებული ფასები დაახლოებით 10-20% მაღალია სამოქალაქო სექტორის ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით.

[52]ევროპული ციხის წესების22.1 მუხლი მიუთითებს, რომ პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.

[53]საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 143. http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

პრევენციული ჯგუფის წევრების დაკვირვებით წყალს მართლაც ჰქონდა ნალექი, არასასიამოვნო სუნი და გემო.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- **მაქსიმალურად უზრუნველყოს პატიმრებისა და ექიმების უშუალო კონტაქტი არასამედიცინო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, მათ შორის, გამოძახების ღილაკის დამონტაჟებისა და სამედიცინო პერსონალის მიერ საკნების ყოველდღიურად შემოვლის ვალდებულების დაწესების გზით**
- **უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება და კონსულტაცია ჩატარდეს განმარტოებით და კონფიდენციალურობის დაცვით ექიმის კაბინეტში, გარდა გადაუდებელი, საგამონაკლისო შემთხვევებისა, როდესაც არსებობს პატიმრის მხრიდან საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების დასაბუთებული ვარაუდი. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს რეჟიმის ან უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომელთა მიერ ექიმისა და პატიმრის შეხვედრაზე ვიზუალური დაკვირვება მოსმენის გარეშე. ამ მიზნით, შევიდეს ცვლილება დაწესებულების დებულებაში და განისაზღვროს საგამონაკლისო შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტის შედგენის ვალდებულება, სადაც მითითებული იქნება დასაბუთება რისკის რეალურობის შესახებ, ასევე რამდენად იყო ვიზუალური დაკვირვება აუცილებელი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით;**
- **2019 წლის განმავლობაში დამტკიცდეს ერთიანი, სპეციალური ფორმა, სადაც მიეთითება პაციენტის სახელი და გვარი, სამედიცინო კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღი (ასევე ვინ დაუდგინა კონსულტაციის საჭიროება), რომელი სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებს და კონსულტაციის მიღების შემდგომ შესაბამისი თარიღისა და რეკომენდაციების მისათითებელი გრაფა**
- **შევიდეს ცვლილება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ N88-N01-34ნ ბრძანებაში და მენიუ-განრიგის შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები**

რეკომენდაცია სურსათის ეროვნულ სააგენტოს:

- **2018 და 2019 წელს განახორციელოს N6 პენიტენციური დაწესებულების სასადილოს და სასმელი წყლის შემოწმება და შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი გახადოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.**

7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

კვლავ პრობლემას წარმოადგენს N6 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნის შუშით გადატიხრულ ოთახში განხორციელება. ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულიაო ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის შესაძლებლობას.[54] 2018 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში N6 დაწესებულებაში განხორციელდა 166 ხანმოკლე პაემანი,[55] რაც 2017 წლის ბოლო 3 თვის [56] მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებული არ არის. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში 15 პატიმარს დაეკისრა დისციპლინური სახდელის სახით ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა,[57] ხოლო 2018 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში ასეთი დისციპლინური სახდელი 13 პატიმარს დაეკისრა.[58] ამის საპირისპიროდ, წახალისების სახით, მხოლოდ 1 შემთხვევაში მიეცა მსჯავრდებულს დამატებითი ხანმოკლე პაემანი.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცათ საშუალება ისარგებლონ ხანგრძლივი პაემნის უფლებით.[59] 2018 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით 49 ხანგრძლივი პაემანი განხორციელდა, რაც მნიშვნელოვნად არა არის შემცირებული 2017 წელთან შედარებით.[60]

დადებითად უნდა აღინიშნოს, N6 დაწესებულებაში ტელეფონის აპარატების ისეთ ადგილას მოთავსება, სადაც პატიმარს საშუალება ეძლევა კონფიდენციალურ გარემოში განახორციელოს სატელეფონო ზარი.

N6 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სატელეფონო საუბრის შეზღუდვის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.[61] სახდელის პერიოდში პატიმარი მოკლებულია შესაძლებლობას ტელეფონით დაუკავშირდეს, მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატს (ცხელი ხაზი), გენერალურ ინსპექციას და გასაჩივრების ნებისმიერ სხვა მექანიზმს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრისთვის გამოყოფილი სატელეფონო საუბრის დრო მოიცავს სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე, ადვოკატთან თუ გასაჩივრების მიზნით ნებისმიერ სხვა

---

[54] N6 დაწესებულებაში 2015 წლის 15 სექტემბერსა და 2016 წლის 10 თებერვალს განხორციელებული ვიზიტების შემდგომი ანგარიში, იხ. ბმული http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3808.pdf [ბოლოს ნანახია 12.06.2018]

[55] 2018 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით ხანმოკლე პაემნით 164 შემთხვევაში ისარგებლეს მსჯავრდებულებმა, ხოლო 2 შემთხვევაში ბრალდებულებმა.

[56] 2017 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით ხანმოკლე პაემნით 180 შემთხვევაში ისარგებლეს მსჯავრდებულებმა, 9 შემთხვევაში კი ბრალდებულებმა.

[57] 3 შემთხვევაში 1 თვით შეეზღუდათ, 12 შემთხვევაში 2 თვით

[58] 2 შემთხვევაში მომდევნო 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო 11 შემთხვევაში მომდევნო 2 ხანმოკლე პაემანი.

[59] 2017 წლის 20 ივნისს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცათ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება.

[60] 2017 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით N6 დაწესებულებაში 57 ხანგრძლივი პაემანი განხორციელდა.

[61] 2018 წელს გამოყენებული 84 დისციპლინური სახდელიდან 24 შემთხვევაში გამოყენებული იქნა სატელეფონო საუბრის შეზღუდვა.

უწყებებთან სატელეფონო კავშირს და შესაბამისად პატიმარს უწევს გააკეთოს არჩევანი პირად და საქმიან კომუნიკაციას შორის.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტების დროს დადგინდა, რომ N6 დაწესებულებაში კვლავ პრობლემას წარმოადგენს კონფიდენციალური წერილის გაგზავნა, კერძოდ, შეუძლებელია კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება ისე, რომ არ მოხდეს პატიმრის იდენტიფიცირება, ასევე კონფიდენციალური წერილის ჩაგდება საჩივრის ყუთში დაწესებულების თანამშრომლის თანხლების გარეშე. სოციალური სამსახურის თანამშრომლები საკანში უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელთან ერთად შედიან და წერილის დაწერაში დახმარების შემთხვევაში უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლისთვის ცნობილი ხდება წერილის შინაარსი. ამგვარი პრაქტიკა უნდობლობას აჩენს დაწესებულების სოციალური სამსახურის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკის სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაცული იყოს, ამასთან, რეალური და იმწუთიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში გარკვეული ზომები უნდა იქნეს მიღებული მისი უსაფრთხოების დასაცავად. თუმცა, მსგავსი ზომების მიღებისას ჩარევა უნდა იყოს მართლზომიერი და უნდა დოკუმენტირდეს წინასწარ განსაზღვრული ფორმით.

N6 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები მიუთითებენ დაწესებულებიდან განცხადებების გაგზავნის პრობლემაზე. მათი განმარტებით განცხადებები არ იგზავნება ადრესატებთან, მიუხედავად მოთხოვნისა არ გადაეცემათ განცხადების გაგზავნის თარიღებისა და სარეგისტრაციო ნომრების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, პასუხები მისდით გახსნილი, მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატის წერილები, რომელიც არ ექვემდებარება შემოწმებას.

პატიმრის მიერ სოციალური მუშაკისთვის წერილის გადაცემის ფაქტი არ ფიქსირდება რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტით, რომელიც პატიმრისთვისაც ხელმისაწვდომი იქნებოდა რთულია იმის დადგენა გადაეცა თუ არა სოციალურ მუშაკს წერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ა) წერილის ავტორის სახელი და გვარი; ბ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; გ) წერილის ჩაბარების თარიღი; დ) წერილის ადრესატი; ე) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს. აღნიშნულზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა რეკომენდაცია არ შესრულებულა.[62]

[62]პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, 2016 წელი, გვ. 151 იხ. ბმული http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4585.pdf[ბოლოს ნანახია 24.09.2018]

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2019 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე

- უზრუნველყოს, რომ სოციალური განყოფილების თანამშრომელი პატიმარს შეხვდეს მესამე პირის დასწრების გარეშე, გარდა გადაუდებელი, საგამონაკლისო შემთხვევებისა, როდესაც არსებობს პატიმრის მხრიდან საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების დასაბუთებული ვარაუდი. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს რეჟიმის ან უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომელთა მიერ სოციალური განყოფილების თანამშრომლისა და პატიმრის შეხვედრაზე ვიზუალური დაკვირვება მოსმენის გარეშე. ამ მიზნით, შევიდეს ცვლილება დაწესებულების დებულებაში და განისაზღვროს საგამონაკლისო შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტის შედგენის ვალდებულება, სადაც მითითებული იქნება დასაბუთება რისკის რეალურობის შესახებ, ასევე რამდენად იყო ვიზუალური დაკვირვება აუცილებელი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ა) წერილის ავტორის სახელი და გვარი; ბ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; გ) წერილის ჩაბარების თარიღი; დ) წერილის ადრესატი; ე) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს